პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERXOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

23 აგვისტო ოთხშაბათი 1972 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 197 (15410)

ხუთწლედი — ვადამდე!

უნდა შესრულდეს, გეგმაც, ვალდებულებაც!

□ ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეებია.

□ ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ გეგმას ასრულებდეს თვითეული მუშა, ბრიგადა, ცვლა, საამქრო.

□ არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო საიუბილეო წელს!



საკდესის ცნობა



„მარს-2“ და „მარს-3“ ავტომატური სადგურებით პლანეტა მარსის მეცნიერული კვლევის პროგრამა შესრულებულია

დამთავრდა მარსის დაგეგმილი კვლევის კომპლექსური პროგრამა, რომელიც მისი ხელოვნური თანამგზავრების ორბიტებიდან ბორციელდებოდა მარს-2“ და „მარს-3“ საბჭოთა ავტომატური სადგურების მეშვეობით.

მიღებულია დიდი მოცულობის მეცნიერული ინფორმაცია პლანეტის ზედაპირისა და ატმოსფეროს, აგრეთვე პლანეტისირგვლივი კოსმოსური სივრცის ფიზიკური თვისებების შესახებ

„მარს-2“ და „მარს-3“ ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურები პლანეტა მარსისკენ ფრენის ტრაექტორიაზე გაიყვანეს შესაბამისად 1971 წლის 19 და 28 მაისს.

დედამიწა-მარსის ტრასით ფრენის დროს, რაც ექვს თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, სადგურიდან რეგულარულად ეწყობოდა საპლანეტათშორისო კოსმოსური სივრცის ფიზიკურ მახასიათებელთა მეცნიერული გაზომვები.

შესაბამისად 27 ნოემბერს და 2 დეკემბერს ავტომატური სადგურები „მარს-2“ და „მარს-3“ გადაიყვანეს პლანეტისირგვლივ ორბიტებზე და ისინი შეუდგნენ პლანეტისა და მისი გარემომცველი სივრცის უშუალო კვლევას.

რთული კოსმოსური ექსპერიმენტის შესანიშნავი მიღწევა იყო პლანეტაზე „მარს-3“ ავტომატური სადგურის დასაშვები აპარატის პირველი რბილი დაჯდომა და მისი ზედაპირიდან დედამიწაზე რადიოსიგნალის გადმოცემა. მარსის ზედაპირზე მიტანილია ვიმპელები, რომლებზეც გამოსახულია საბჭოთა კავშირის გერბი.

დღეისათვის „მარს-2“ სადგურმა პლანეტას შემოუარა 362-ჯერ, ხოლო „მარს-3“-მა 20-ჯერ.

მარსის ირგვლივ ორბიტით რვა თვეზე მეტი ხნის ფრენის დროს ეწყობოდა მარსის ზედაპირისა და ატმოსფეროს თვისებების კომპლექსური კვლევა სპექტრის ხილულ. ინფრაწითელი და ულტრაიისფერი დიაპაზონებით, აგრეთვე რადიოტალღების დიაპაზონით.

ამ გაზომვებმა საშუალება მოგვცეს განგვესაზღვრა ზედაპირისა და ზედაპირქვეშა ფენის ტემპერატურა დაგვკვირვებოდით ტემპერატურის ცვლილებებს არეოგრაფიული განედებისა და მარსის დღე-ღამის დროის მიხედვით. პლანეტის ზედაპირზე გამოვლინებულია ცალკეული ხითბური ანომალიები. ნახშირორჟანგის შიერ ინფრაწითელი რადიაციის შთანთქმის მონაცემების მიხედვით მიღებულია მარსის ზედაპირის მაღლივი პროფილები ფრენის ტრასის გასწვრივ.

პლანეტის სხვადასხვა ნაწილში წყლის ორთქლის შემცველობის გაზომვამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ დაკვირვების პერიოდში იგი დაახლოებით 5 ათასჯერ ნაკლები იყო, ვიდრე დედამიწის ატმოსფეროში.

გაბნეული ულტრაიისფერი რადიაციის სიდიდის გაზომვებმა საშუალება მოგვცეს მიგვეღო ცნობები პლანეტის ზემო ატმოსფეროს სტრუქტურის შესახებ — მისი განფენილობის, შედგენილობისა და ტემპერატურის შესახებ. მარსის ატმოსფეროში გავლისას რადიოტალღების გარდატეხის შესწავლამ საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა წნევა და ტემპერატურა მისი ზედაპირის მაღლობლად.

სადგურების ფრენის პირველ ორ თვეში მარსზე უჩვეულოდ ძლიერი მტვრის ქარბუქის დროს მარსის ატმოსფეროს გამქვირვალობის ცვლილებათა მიხედვით მიღებულია საინტერესო მოვლენის მახასიათებელთა მონაცემები, შეფასებულია პლანეტის ატმოსფეროში მტვრის ნაწილაკების შემცველობა და საშუალო ზომები.

მტვრის ქარბუქმა მნიშვნელოვნად გაართულა პლანეტის ფოტოგადაღება და ზოგიერთი სამეცნიერო გაზომვის მოწყობა. და მაინც მარსის დისკის გამოსახულებამ, რომელიც მისი ხელოვნური თანამგზავრების ფოტოაპარატურის მეშვეობით მივიღეთ, არსებითად შეავსო მეცნიერული ინფორმაცია პლანეტის შესახებ. პირველად მივიღეთ მარსის ფოტოსურათები იმ ფაზებში, რომლებიც დედამიწიდან არ მოჩანს. სადგურებიდან გადმოცემულმა ფოტოგამოსახულებებმა შეავსეს ინფორმაცია პლანეტის ზედაპირის, ატმოსფეროს სტრუქტურის, მარსის მოყვანილობის შესახებ.

არსებითად სხვადასხვა ორბიტაზე გაყვანილი „მარს-2“ და „მარს-3“ სადგურების ფრენის პროგრამაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მარსის ირგვლივ სივრცეში სხვადასხვა ენერგიათა ველებისა და ნაწილაკების უშუალო გაზომვებს.

თანამგზავრებით მოწყობილმა გაზომვებმა მოგვცეს მასალა პლანეტის მაგნიტური ველის არსებობის საკითხის შესასწავლად. მაგნიტური ველის რეგულარულობის კვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მარსის ბუნების შესასწავლად, არამედ აგრეთვე მზის სისტემის პლანეტების წარმოშობისა და ევოლუციის შესასწავლად.

საშუალება მოგვეცა დამატებითი მონაცემები მიგვეღო მზის რადიოგამოსხივების სტრუქტურაზე, რაშიც დაგვეხმარა გაზომვები „სტერეოს“ აპარატურით, რომელიც ფრანგმა სპეციალისტებმა შექმნეს და დაამზადეს მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევაში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად.

დამთავრდა კოსმოსური სივრცის კვლევის მორიგი ეტაპი.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებში განაგრძობენ მარსის ხელოვნური თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს.

ახალი კოსმოსური ექსპერიმენტის შედეგები არსებითად გაამდიდრებენ მეცნიერებას მზის სისტემის პლანეტების ბუნების შესახებ.

საბჭოთა კოსმონავტიკის შესანიშნავი წარმატება ფართო შესაძლებლობებს სახავს ავტომატური აპარატების მეშვეობით ციური სხეულების სისტემატური მეცნიერული კვლევის მოსაწყობად.

მაკ თავი ისაკხელეს

თბილისის წინდის ფაბრიკა „ალრწანისში“ მრავალი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი ხორციელდება პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ პერიოდში დადგეს 40 ახალი ჩეხური რვასისტემიანი მაღალი წარმადობის ავტომატი. ერთ ცვლაში თვითეული მანქანა 90 წყვილ მაღალხარისხოვან წინდას უშვებს.

სურათზე: ზემოთ — მოწინავე შემკეთებელი ო. ალიხანაშვილი, ქვემოთ ახალი ჩეხური ავტომატები, რომელსაც მჭსოველი ლ. აზნაიანი ემსახურება.

ვ. ბორგუნოვის ფოტო. (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

მ ი ზ ა ნ ი — მაღალი ეფექტურობა

თბილისი. (ალ. „ალ.). ქარხანა „გაზაპარატს“ დიდი ხნის ისტორია როდი აქვს, მაგრამ აქ თანმიმდევრულად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას. საწარმოს კოლექტივი დიდი ამოცანების წინაშე დგას ახალ ხუთწლედში. **თუ ამჟამად ქარხანა მომხმარებელს წელიწადში 86 ათას ცალ გაზჭურას აწვდის, ხუთწლედის ბოლოსათვის მისი გამოშვება 170 ათას ცალამდე უნდა გაიზარდოს, ორჯერ და მეტად გადიდდება მომინანქრებული ჭურჭლის დამზადება — ყოველწლიურად გამოშვებული იქნება 1500 ტონაზე მეტი ჭურჭელი,** რაც ძირითადად დაამაყოფილებს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებას.

რით უნდა მიაღწიოს პროდუქციის ასეთი ზრდას ქარხნის კოლექტივმა?

უპირველეს ყოვლისა პროდუქციის მთელი მატება აქ გათვალისწინებულია არსებული საამქროების რეკონსტრუქციით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით. შრომის სწორი ორგანიზაციის გზით.

ქარხანაში გეგმები ყველა მაჩვენებლით სრულდება. უმჯობესდება ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, იზრდება ეკონომიური სტიმულირების ფონდები. **მარტო შარშან** მეცამეტე ხელფასის სახით მუშებმა 48 ათასი მანეთი მიიღეს. უკანასკნელ ორ წელიწადში აიგო 48-ბინიანი სახლი, შენდება 112-ბინიანი, რომელიც წელს უნდა გადაეცეს საკესლოტაციოდ. გადაყვანილი აქვთ ხუთწლედის ბოლოსათვის ბინათა დაკმაყოფილონ ყველა მუშა-მოსამსახურენი. მოგების ნაწილი ხმარდება მუშათა უფასო კვებას.

რიტმულად და გამართულად მუშაობს საწარმოში მომდინარე წესლაც. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 103,3 პროცენტით შესრულა, ნატურაპროდუქციისა — 104 პროცენტით. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით ამაღლა. პროდუქციის წარმოება 7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17 პროცენტით: მომხმარებელს დაეალების გადამეტებით 1000 ცალი გაჩქერა გაეგზავნა, მნიშვნელოვნად შემცირებულია პროდუქციის თვითღირებულება, მიღებულია დიდი მოგება.

პროდუქციის გადიდების პარალელურად აქ მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მიმღინარე წელს დაიწყეს სერიული გამოშვება ახალი გაჩქერისა, რომელმაც კარგი სახელი მოიხვეჭა. ისინი ტექნიკურად და ესთეტიკურად ფეელ ქურეზე უფრო სრულყოფილი, მოხერხებული და ექსპლოატაციის დროს სანიდო არიან.

ამ წარმატებაში თავი და თავი ადამიანები არიან. ამიტომ საწარმოში მთავარ ყურადღებას აქცევენ მუშა-მოსამსახურეთა ხელოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამაში კი ხელს უწყობთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა. საწარმოში კარგად აქვთ მოწყობილი მორალური და ეკონომიური სტიმულირების სამ. **მარტო 13 ხელფასის დარიგებამ: ერთიდან სამ წლამდე მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლეათ საშუალო გამომუშავების 40 პროცენტი, ხუთიდან რვა წლამდე — 70 პროცენტი, ხოლო 10 და მეტი წლის მჭონე მუშებს 100 პროცენტი.** არსებობს დამატებითი პუნქტებიც. მაგალითად, კომუნისტური შრომის დამკვრელებს, შრომის ვეტერანებს, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკებს ჯილდოს სახით 20 პროცენტი დანამატი ეძლევათ.

სტიმულირების ღონისძიებანი მარტო ამით როდი შემოიფარგლება. მუშები და სპეციალისტები წახალისებას / ღებენ გეგმების დიდი გადაჭარბებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. **შარშან სტიმულირებას ამ ფორმის მიხედვით 157 ათასი მანეთი დარიგდა.** ამით მუშებთან ერთად საკრძნობლად გაიზარდა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საშუალო ხელფასიც. ყოველივე ამან საწარმოს საშუალება მისცა განამტკიცებინა დისციპლინა, ამაღლდა მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა, მინიმუმამდე შემცირდა მუშათა დენადობა.

მშენებლები დროს უსწრებენ

□

თელავის სართულები

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ი. ბეჟუაშვილი) მუშაკებმა, დგანან რა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის ფიქრებით, 7 თვეში გეგმით გათვალისწინებული 2.135 ათასი მანეთის ნაცვლად 2.388 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულეს და გეგმა 111,8 პროცენტით გაანაღდეს.

სამმართველოს ბევრი მოწინავე მშენებელი ჰყავს. მათ შორის პირველ რიგში ასახელებენ სასტუმრო „ალეთის“ მშენებელთა კოლექტივს, რომელსაც გამოცდილი მშენებელი ინჟინერი ი. ძამსაშვილი ხელმძღვანელობს. ამ მაღლივი შენობის მშენებლობაზე ბრიგადირმა ა. ამირეზოვმა, მეარმატურე დ. სარაჯიშვილმა და სხვებმა. ახლა მშენებლები უკვე მე-13 სართულზე არიან, მათი პირობაა წლიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები 10 დეკემბრისათვის შესრულონ.

7 თვით გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ალრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლებმა (უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ჰ. მიგალონიშვილი, ბრიგადირი გ. ესიტაშვილი), 80 ბინიანი საცხოვრებელი სახლის (სამუშაოთა მწარმოებელი მ. ბალოიშვილი) სოფელ თეძელის საშუალო სკოლის (სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ლაზნიკაძე) და სხვა ობიექტების მშენებლებმა.

სამმართველოს შრომისმოყვარე კოლექტივი მოპოვებული მიღწევებით ამ ამაყოფილდება, ყველა ღონისძიებით იბრძვის უფრო მეტი წარმატების მოპოვებისათვის.

ა. თვალიაშვილი.

აჭარელ მეჩაიეთა ნობათი

მოიკრიფა 37,504 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 37.200 ტონისა, წლიური გეგმის გადაჭარბებით მოიკრიფება 4.800 ტონა ფოთოლი

გვესაუბრება საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაიშვილი.

აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა ძვირფასი საიუბილეო ნობათი უძღვნეს საშობლოს. ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური დავალება. მათ შრომანდილთან შედარებით 7 დღით ადრე მოკრიფეს და გრეხეს ბალეულობას ჩაებარეს 37.504 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად წლიური დავალებით გათვალისწინებული 37.200 ტონისა. ეს გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით 1.780 ტონით მეტია, მოკრეფილი ფოთლის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მეჩაიეთა ეს წარმატება განაპირობა იმან, რომ ცუდი ამინდის სიძნელეების დასაძლევად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და განახორციელეს მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებანი, ამაღლდა მინდობილ საქმეში კომუნისტების, ხელმძღვანელი ამხანაგების პასუხისმგებლობის როლი, ბრიგადებში, რგოლებში, კოლმეურნეობათა შორის ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. დროდადრო ვაჯამებდით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას და ამასთან პლანტაციებში განვახორციელეთ აგროღონისძიებათა კომპლექსის სრული ღონისძიება, მარიალურება დაინტერესებამ მეჩაიეთა სიბეჯითეს დიდად შეუწყო ხელი.

კვლავ სასახელოდ მუშაობენ ქობულეთის რაიონის მშრომელები. მათ მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს პირველი ჯგუფის რაიონებთა შორის გაწილილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის ღირსი გახდნენ. ამ ჯილდოს ალაფრთოვანა ქობულეთელები და წელსაც ახალი შემართებით დაიწყეს ლაშქრობა ფოთლის სიუხვისათვის. 20 აგვისტოსათვის სასახელოდ შეასრულეს ჩაის ნედლეულის კრეფის წლიური გეგმა, დაამზადეს 25.880 ტონა ფოთოლი, ნაცვლად 25.746 ტონისა.

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ლენინის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ უკვე მოკრიფა 1.600 ტონა ფოთოლი, რაც წლიურ გეგმას 195 ტონით სჭარბობს. კოლმეურნეობამ იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 400 ტონა ჩაი, ჰექტარზე მიიღოს 7.200 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ახლა ქობულეთის რაიონის მშრომელთა ამოცანაა პირველი მივიდნენ ფინიშზე — წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 3.300 ტონა „მწვანე ოქრო“. ჰექტარზე მოსავლიანობის სიუხვეში ქობულეთელებს დიდი გამოცდილება აქვთ. წელს ჰექტარზე 6.200 კილოგრამ ფოთოლს გეკრიდებიან.

დამკვიდრებულ ტრადიციას არ დალატობენ ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიეები. მათ 17 აგვისტოსათვის შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, 11.054 ტონა ჩაი, ნაცვლად 10.844 ტონისა.

დაწინაურდნენ ოჩხამურის, ციცხლურის, ჩაქვის, ხუცუბნის, მუხაესტატეს, დაგვის, ბობოყვათის, ჩაისუბნის, ახალშენის, სალიბაურის, თხილნარის, მაჩოს, ჭარნალის, გონიოს და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობები.

ფოთლის მიღება-გადამუშავებაში კარგად იმუშავა აჭარის ასს რესპუბლიკის თიმაქმის ყვავილ ჩაის ფაბრიკამ.

საქართველოში ამას წინათ წარმოიშვა მეჩაიეთა ახალი პატრიოტული თაოსნობა, მათ გადაწყვიტეს სამშობლოს მისცენ 270.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ საქმის შესრულებაში აჭარელ მშრომელებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მტკიცედ გადავწყვეტილთენ ამ საიუბილეო წელს დედა-სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით მივცეთ 4.800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით წარმატებებით შეხვდეთ სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

* * *

ნელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანით ქობულეთის რაიონში ბევრმა კოლმეურნემ ისახელა თავი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ ჭაჭუთის კოლმეურნე აიში ქარცევაძე. მისი მეუღლე სულეიმანი, შვილები ციალა, ჭემალი, სერგო, ნოდარი ყოველდღე დარეა თუ ავდარში უდანაკარგოდ კრეფენ ფოთოლს. მთელმა ოჯახმა 0.4 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 6.600 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო“ და ამით გეგმა-ვალდებულება ,სასახელოდ გაანაღდა. ახლა ისინი ფოთოლს ახალი ვალდებულებების ანგარიშში კრეფენ.



სურათზე: (მარცხნივ), ციალა ჭემალ, სერგო, სულეიმან, აიში და ნოდარ ქარცევაძეები ჩაის პლანტაციაში.

ბ. ბოგუნიას ფოტო.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნიკოლაე ჩაუშესკუს

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ იონ გეორგე მაურერს

ძვირფასო ამხანაგებო!

ერთგული დღესასწაულის — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 28 წლისთავის — გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მეგობრულად ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელთ.

28 წელი გვაშორებს იმ დღეებს, როცა საბჭოთა არმიის გადამწყვეტი გამარჯვებებისა და ამ ხელსაყრელ ვითარებაში 1944 წლის 23 აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების შედეგად რუმინეთი განთავისუფლებულ იქნა ფაშიზმისაგან, შეექმნა შესაძლებლობა დასდგომოდა ღრმა რეფორმიანი რევოლუციური გარდაქმნებისა და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის გზას. განვლილი წლების მანძილზე რუმინელმა ხალხმა თავდადებული შრომით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი სამშობლო გადაქცია სოციალისტურ სახელმწიფოდ, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ მოძმე რუმინელი ხალხის მიერ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებთან რუმინეთის მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში მოპოვებულ ამ წარმატებებს.

საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დამყარდა და ვითარდება მეგობრობა და ამხანაგური თანამშრომლობა, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებს. მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელმაც დაამკვიდრა ტრადიციული კავშირურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის, ასახავს ორი ხალხის მისწრაფებას ყოველნაირად გააფართოონ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საფუძველზე, გაართიანონ თავიანთი ღონისძიებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, განამტკიცონ სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობა და ინტერნაციონალური სოლიდარობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ ჩვენი ორი პარტიის, ქვეყნებისა და ხალხების ძმური მეგობრობის განსამტკიცებლად, ხელს შეუწყობენ ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავებას ჯარმაკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარებას, საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედების გაფართოებას, სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 28 წლისთავის დღეს გისურვებთ თქვენ, ყველა რუმინელ კომუნისტსა და სოციალისტური რუმინეთის მშრომელებს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა და რუმინელი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

ლ. ბრეჟნევი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ა. კოსიგინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1970-1971 წლების ზამთრის არქტიკული ტვირთზიდვის დაალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 22 აგვისტოს მრავალებულებით სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვა მუშაკთა ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ კაპიტნის დუბლიორი ვ. კ. კოჩეტკოვი და დიზელ-ელექტრომავლის „ლენინ“ კაპიტანი ვ. ა. კოროპტეევ, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — დიზელ-ელექტრომავლის „ლენინ“ კაპიტნის პირველი თანაშემწე ა. ვ. მიხინი, დუდინკის ნავსადგურის შოფერი ს. ი. პოდტერებოვი, ყინულმჭრელ „მურმანსკის“ კაპიტანი ფ. ი. ფედოსეევი, ჩრდილოეთის სანაოსნოს კაპიტან-დამრიგებელი ფ. ფ. ფილიპოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 26 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 33, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 15 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 20 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ჟიფრინავს „კოსმოს-516“

1972 წლის 21 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-516“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

მეცნიერ-მექანიკოსთა ფორუმმა მუშაობა დაიწყო

21 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა XIII საერთაშორისო კონგრესი თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საკითხებზე. ყველა კონტინენტის ოთხი ათასამდე მეცნიერი შეიკრიბა კრემლის ყრილობათა სასახლეში, რათა განიხილონ მექანიკის — თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის პრობლემები, რადგან მის განვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირმა, აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კონგრესი.

თეორიული და გამოყენებითი მექანიკის დარგის სპეციალისტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ჰოლანდიელმა ვ. ტ. კოიტერმა მაღლობა გადაუხადა საბჭოთა კოლეგებს კონგრესის მოსამზადებლად გაწეული დიდი საორგანიზაციო მუშაობისათვის.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში. მან აღნიშნა მექანიკის უდიდესი მნიშვნელობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში.

კონგრესის დილის სხდომაზე მოისმინეს ხუთი ძირითადი მოხსენებიდან ერთი — „ნგრეგის პრობლემისადმი ფენომენოლოგიური მიდგომის პერსპექტივების შესახებ“, რომელიც გააკეთა აკადემიკოსმა ვ. ვ. ნოვოჟილოვმა.

ნაშუადღევს დაიწყო მეცნიერთა შეხვედრები სექციებში. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გეორგ ივანეს-ძე გვეტაძე დანიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ქომუნისტი

ეკონომიკის კონტროლით!

სახალხო კონტროლის გვერდი

№ 67

ბევრი სახალხო კონტროლის კომიტეტი, ჯგუფი და საგუშაგო სერიოზულ ყურადღებას უთმობს, პასუხისმგებლობით ეკიდება და სულ უფროდაუფრო უართოდ იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — გაზეთს, რადიოს, ტელევიზიას.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის საჯაროობის ფორმებისა და მეთოდების ფართო განზოგადების მიზნით 1971 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. სისტემატურად ქვეყნდებოდა სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების თავმჯდომარეების, სახალხო კონტროლიორების, პარტორგანიზაციების მდივნების წერილები, ინფორმაციები, კრიტიკული შენიშვნები, წინადადებები. მათში ლაპარაკი იყო იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც აფერხებდნენ სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების საქმეს. გამოქვეყნდა აგრეთვე ფელეტონები სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებზე, სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებზე, იმ ძველ გადმონაშთებზე, რომლებიც ამახინჯებენ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების წესებს.

საქართველოს ტელევიზიამ მიმდინარე წელს მოაწყო ეურნალ „სახალხო კონტროლის ეკრანის“ 6 გადაცემა, რომლებშიც გამოყენებული იყო 20 სიუჟეტი. ესენი: „ვინ როგორ არემონტებს“, „დაწუნებული ავტობუსი“, „ფეხით იარეთ, სახარგებლოო“, „მზადდება სიყალბე“, „ოფეზი და მეტადფარი“, „მშენებლობა და ხარისხი“, „კონტროლი“ და სხვ.

რადიოკომიტეტის ეურნალ „შოლტის“ ყოველ გადაცემაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ფელეტონები, კრიტიკული წერილები, შენიშვნები. აღნიშნულ მასალებში გაკრიტიკებული იყვნენ ყალბისმქმნელები, სახელმწიფო ქონების გამნიავებლები, ჩამორჩენილები, ყველა ისინი, რომლებსაც ნაკლებად აწუხებთ საერთო სახალხო საქმე, მისი წარმატებით გადაწყვეტა, სახელმწიფო დავალებების შესრულება.

რესპუბლიკის ცენტრალურმა გაზეთებმა სათანადო ყურადღება დაუთმეს გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში ანგარიშგება-არჩევნების მომზადებას და მიმდინარეობას. რაიონულ გაზეთებში კი აღნიშნულ საკითხებზე 200-ზე მეტი წერილი დაიბეჭდა, გამოქვეყნდა მასალები სსრ კავშირის სახალხო კონტროლის საინფორმაციო ბიულეტენშიც.

რესპუბლიკურ გაზეთებში, რადიო და ტელევიზიებში, აგრეთვე რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნდა სახალხო კონტროლის საქმიანობის ამსახველი 1.500-მდე მასალა.

სახალხო კონტროლის სპეციალურ გვერდებს სისტემატურად უშვებენ საქალაქო გაზეთები „თბილისი“, „ვეჩერნი ტბილისი“ და „ჟუთათისი“, რაიონული გაზეთები „განახლებული აბაშა“, „კომუნიზმის გზით“ (წულუკიძის რაიონი).

ერთგვარად გაუმჯობესებულ სახალხო კონტროლის გვერდების გამოშვების საქმე გაზეთებმა „საბჭოთა აჭარამ“, „ტყიბულმა“, „ქოლხეთმა“ (ქ. ფოთი), „ბორჯომმა“, „ლენინელმა“ (ქობულეთის რაიონი), „გამარჯვების დროშამ“ (ლაგოდეხის რაიონი), „მცხეთამ“, „კომუნიზმის შვილებელმა“ (ხობის რაიონი), „დროშამ“ (შუახევის რაიონი), „კომუნიზმის გზით“ (დუშეთის რაიონი), „განახლებულმა მესხეთმა“ (ადიგენის რაიონი), „განთიადმა“ (ასპის რაიონი), რომლებმაც სახალხო კონტროლის 10-11 გვერდი გამოუშვეს.

ჩვენს პრესას გაცილებით მეტი მოეთხოვება. სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, გაზეთების რედაქციებმა უნდა უზრუნველყოონ სახალხო კონტროლის სპეციალური გვერდების ყოველთვიურად გამოშვება, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო შემოქმედებითად გამოიყენონ ბეჭდვითი სიტყვის მაორგანიზებელი ძალა.

მაგრამ სახალხო კონტროლის გვერდების სისტემატურ გამოშვებასაც არ ექნება აზრი, თუ მასში მოთავსებული მასალები არ გამოირჩევა მებრძოლი სულისკვეთებით და

საჯაროობა — წარმატების საწინდარი

შეთანხმებული მუშაობის ფორმები

ქმედითობით, ამას კი ზოგან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

ზოგიერთი გაზეთების რედაქციები გაზეთის რომელიმე გვერდს სახალხო კონტროლის გვერდად ნათლავენ, მასში კი მხოლოდ ოფიციალურ მასალებს აქვეყნებენ. მაგალითად, 1971 წლის პირველ იანვარს „ტყიბულის „კომუნიზმის გზამ“ გამოქვეყნა სახალხო კონტროლის გვერდი, რომელშიც მოთავსებული იყო საქინფორმის მასალა სათაურით—„პროგრესული საზოგადოებრიობა გმობს აგრესორს“. 1971 წლის 7 აგვისტოს ფოთის საქალაქო გაზეთ „ახალ ქოლხეთში“ გამოქვეყნდა სახალხო კონტროლის გვერდი, რომელშიც დაბეჭდილია ორი მასალა სათაურებით: „ორშის მეზღვაურთა თავდადება“ და „დაწყვა გადაარჩინეს“. სათაურებიდანაც ნათლად ჩანს, რომ არც ერთ მათგანს არაფერი აქვს საერთო სახალხო კონტროლის საქმიანობასთან. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი როდია.

სახალხო კონტროლის კომიტეტები ყურადღებას უნდა აქცევდნენ არა მარტო იმაზე, თუ როგორ აწვდის რედაქცია მკითხველებს სახალხო კონტროლის მასალებს, არამედ იმაზეც, თუ როგორი ფორმით და შინაარსით იბეჭდება რედაქციის მიერ მოპოვებული სახალხო კონტროლის ორგანოებისა და კონტროლიორების მუშაობის ამსახველი მასალები. სახალხო კონტროლის გვერდი უნდა იყოს სრულყოფილი, სანიმუშო.

1971-1972 წლებში რესპუბლიკის არცერთ საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთს არ გამოუქვეყნებია ნარკვევი და ჩანახატი მოწინავე კონტროლიორზე. მცირე რაოდენობით ქვეყნდება ფოტოფრალდებები, ფელეტონები, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმების ამსახველი მასალები.

მიმდინარე წელს შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა სახალხო კონტროლის გვერდების გამოშვების საქმეში. საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა და სახალხო კონტროლის კომიტეტებმა უფრო სრულყვეს მასალების მაღალი იდეური დონე და გვერდების გაფორმების ხარისხი. ყოველთვიურად უშვებენ სახალხო კონტროლის ფურცლებს ქალაქების — თბილისის, ჭუთაისის, ფოთის და ტყიბულის, რაიონების — ბორჯომის, დუშეთის, ონის, მაიაკოვსკის, ქარელის, ვანის, ადიგენის, ახალციხის, გალის, გურჯაანის, მცხეთის, თიანეთის, ცაგერის, წალენჯიხის, წულუკიძის, ჩხოროწყუს და შუახევის სახალხო კონტროლის კომიტეტები და ადგილობრივი გაზეთების რედაქციები.

წელსაც ვერ უზრუნველყვეს სახალხო კონტროლის გვერდების სისტემატური გამოშვების ტრადიციების დამკვიდრება აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონების — ახმეტის, ბოგდანოვკის, ვეგეტკორის, დმანისის, ზესტაფონის, კასპის, ლენინის, მახარაძის, საჩხერის, თელავის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ხელვაჩაურის, წალკის, ჩობალაურის სახალხო კონტროლის კომიტეტებმა და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა. გორის საქალაქო, მარნეულისა და ბოლნისის რაიონული გაზეთების რედაქციები ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩენიან სახალხო კონტროლის გვერდების გამოშვებაში. ზუგდიდის საქალაქო გაზეთის „მებრძოლის“ რედაქციამ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მხოლოდ 29 იანვარს გამოაქვეყნა სახალხო კონტროლის ფურცელი, ისიც მეოთხე გვერდზე და მასში კონტროლის ორგანოების მუშაობის ამსახველი მხოლოდ ერთი ინფორმაცია არის მოთავსებული.

საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით რაიონებში არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ადგილობრივ რადიოგადაცემებს. სახალხო კონტროლის კომიტეტები რატომღაც არ იფასებენ საჯაროობის ამ ერთ-ერთი მთავარი ფორმის ძალას, სათანადოდ არ იყენებენ მას, ხელიდან უშვებენ ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების მძლავრ საშუალებას.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი ფართო საჯაროობის უზრუნველყოფისათვის. მუშაობის შემდგომი გაუჯობესებისებისათვის მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ არა მარტო არსებული საშუალებები, არამედ იზრუნონ საჯაროობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოსახვისა და პრაქტიკაში მათი ფართოდ დანერგვისათვის.

ჯ. ახვლედიანი,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ხომ არ გაიყიდა კომუნალური ბინა?..

როცა საქალაქო საბჭო სცოდავს

ყველაზეზერი ხუთსტრიქონიანი განცხადებით დაიწყო. იგი მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელზე იყო დაწერილი. აი რა ეწერა ამ განცხადებაში: ვცხოვრობ ქალაქ ჭიათურაში (ცხაკაიას ქ. № 2), ვარ სამამულო ომის ინვალიდი, ჩემი შვილები სწავლობენ თბილისში, რომლებსაც უყალს ჩემი ოჯახობა — მერი ვასილის ასული შუბაშვილი. საცხოვრებელი ბინის ფულს (თბილისში) ვიხდი. კერძოდ, ყოველთვიურად 70 მანეთს. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეობა და დამრთოთ ნება ერთი ოთახი (14 კვადრატული მეტრი თავის სათავსებით) გადავცვალო ოჯახის წევრის, კერძოდ ჩემი ოჯახობის სახელზე თბილისში. განმცხადებელი ა. ფერაძე. 16.VI — 70 წელი.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ განცხადების ბოლო წინადადების ბუნდოვან აზრს, შეიძლება ეთქვათ, რომ განცხადებაში აღნიშნული თხოვნა უჩვეულო და გასაოცარი როდია, რადგან ყველა მოქალაქეს აქვს უფლება იცხოვროს იქ, სადაც მას მოესურვება. საბჭოთა კანონით ეს არავისთვის აკრძალული არ არის.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყურადღებით მოეკიდა აღნიშნულ განცხადებას და იგი შესასწავლად კომუნალური განყოფილების ყოფილ გამგეს ჯემალ მიხეილის-ძე ქამუშაძეს დაუწერა. საკითხი დროულად იქნა შესწავლილი და კომუნალურმა განყოფილებამ იგი საქალაქო საბჭოს აღმასკომზე განსახილველად შეიტანა.

მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მოქალაქე მ. შუბაშვილს, ნაცხოვრებს ცხაკაიას ქ. № 2-ში, ნება დაერთო 14 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი (ერთი ოთახი) გაუცვალოს თბილისში კონსტიტუციის ქ. № 17-ში მცხოვრებ ნადეჟდა დანიელის ასულ ბეჟიას.

მართალია, გაცვლის დადგენილება კი გამოიტანეს, მაგრამ იმაზე კი არავის ეფიქრა, რომ ფერაძის ბინის ორიოთახიანი ერთ ოთახში ორი ოჯახის ცხოვრება შეუძლებელი იყო.

ამრიგად, გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა საცხოვრებელი ბინის გაცვლისთვის საჭირო ყველა საბუთი. სამოლოოდ, თბილისს საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბინების გაცვლის ბიურომ 1970 წლის 9 ივლისს № 1471 საბუთის ყალბით ჭიათურაში ცხაკაიას ქ. № 2-ში ფერაძის ბინის ერთ ოთახში ცხოვრების უფლება მიეცა მოქალაქე ნადეჟდა ბელიკს, ხოლო თბილისში კონსტიტუციის № 17-ში არსებული ბინის მეფლობელი შეიქნა მერი შუბაშვილი. დიახ, ბინების გაცვლის პროცედურა შესრულდა უხალოდ.

აქ, ცხადია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების საცხოვრებელი ბინების გაცვლის ბიუროს უფრო მეტი სიფრთხილე რომ გამოეჩინა, ბინებს ასეთი ფორმალური გაცვლა არ მოხდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქმე ბინების გაცვლით არ დამთავრდა. ნადეჟდა ბელიკი ჭიათურაში არ წასულა და არც უფიქრია იქ ცხოვრება. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1970 წლის 13 ივნისს ჭიათურაში ცხაკაიას ქ. № 2-ში ჩაწერილი ბელიკი იმავე წლის 23 ოქტომბერს ამოწერეს და ბინა აღმასკომს გადაეცა.

კომუნალური განყოფილების ყოფ. გამგის ქამუშაძის და აღმასკომის წყალუბნის ბელიკი ჭიათურაში ჩაწერეს ბინის გაცვლის მოტივით და სმა თვის შემდეგ ამოწერეს იმ მიზეზით, რომ მოსკოვში მოისურვა გადასვლა. თუ მოქალაქე ბელიკი ჭიათურაში ცხოვრებას ფიქრობდა, რა თქმა უნდა, ჩავიდოდა იქ, თავის ბარგს გადიტანდა და კუთხეს მოიწყობდა, ხოლო მოსკოვში გადაცვლას თუ მოისურვებდა, გამგზავრება მისთვის თბილისიდან უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ჭიათურიდან. აი გვგონია 55 წლის ნადეჟდა ბელიკს ეს ნაბიჯი ახალგაზრდული დაუფიქრებლობით გადაედგა. ფაქტი კარგად მოფიქრებული და დაწყებული საქმის ლოგიკური ფინალი იყო.

შემდეგ საქმეს ასეთი მსვლელობა მიეცა. ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1972 წლის 16 ივნისს ახალი დადგენილება გამოიტანა (№ 255/8), რომლის ძალით ჭიათურაში ცხაკაიას ქ. №2-ში ნადეჟდა ბელიკის მიერ „განთავისუფლებული“ ოთახი კვლავ მის მეპატრონეს ა. ფერაძეს გადაეცა. ამრიგად მან ჭიათურაშიც შეინარჩუნა მთლიანი ფართობი და თბილისშიც მიიღო ბინა.

საინტერესოა, ბინების გაცვლის, მოქალაქე ბელიკის ჭიათურაში ჩაწერა-ამოწერის ინსტანციებმა ბინა თბილისში ბინის მიღებისათვის ხომ არ მოიწყო? ამ ვერსიას კი ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1972 წლის № 225/8 დადგენილება ამტკიცებს. ეადგილო არ იქნება ვიკითხოთ, მოქალაქე ბელიკმა რატომ დაიტოვა ბინა ჭიათურის აღმასკომმა? საერთოდ იგი თუ ჩაბარების თარიღობდა, ამაზე ხომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიც არ ეტყოდა უარს. ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა რატომ დაუბრუნა გაცვლილი ბინა თერაძეს. იგი ხომ მას აღარ ეკუთვნოდა, ან იქნებ იმიტომ, რომ იქ სხვისი ჩასახლება ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო. თუ ის ასეა. მაშინ ბინის გაცვლის ნებართვა როგორ მისცეს ფერაძეს?

საბოლოოდ ისმება კითხვა — ხომ არ გაიყიდა კომუნალური ბინა თბილისში? იქნებ ბელიკისა და ფერაძის შეთანხმებით ასე იყო დაგეგმული და საქალაქო საბჭოს აღმასკომიც ამ საქმეში უნებლიეთ თუ ნებით ხელის შემწყობის როლში გამოიყენა.

ბ. ბიბილაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში შექმნილი სახალხო კონტროლის ჯგუფი დიდ დახმარებას უწევს წარმოებას მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში. სურათზე: (მარჯვნიდან) სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე შ. ხარაძე, წევრები — მექანიკური უბნის უფროსი შ. მიქაძე, ზეინკალი ა. კრავცოვი და მრანდაგი ი. თასმასოვი ამოწმებენ უნივერსალური მრგვალად სახეხი ჩარხის მუშაობას.

ა. კაზაკასიძის ფოტო.

საქმეში ჩარევის ფორმები

ალვაკვეთოთ ვაგონების მოცდენა!

ხაშურს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი ყოველთვის მასზე ბის შუაგულში ტრიალებს, გულდასმით სწავლობს მათი შემოქმედებითი შრომის პრიორიტეტსა, და პირობებს, ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. რაიონში არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომ სახალხო კონტროლის ფხიზელი თვალი არ სწვდებოდეს.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება სახალხო კონტროლის ქმედითი ღონისძიებებზე. ამჟამად კი ვიტყვით ერთ მაგალითზე. ეს იყო ამის წინათ. კონტროლის რაიონული კომიტეტი ვაგონების მიღების, გადმოტვირთვისა და გაშვების მდგომარეობის დაინტერესდა. ეს დავალება შესაბამოწმებლად სადგურ ხაშურის სახალხო კონტროლის ჯგუფს მისცა. უნდა ითქვას, რომ ჯგუფის წევრებმა თავდადებულ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მინდობილ დავალებას. ვაგონების გამოყენების საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებები აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის ოთხ თვეში „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა განყოფილებამ 120 საათით მოაცდინა ვაგონები, რისთვისაც 220 მანეთი ჯარიმა გადაიხადა. ანალოგიური მდგომარეობა იყო მესამე სამმენეჯერო სამმართველოში. მათ უფრო „იმარჯვეს“, ვაგონები 130 საათით მოაცდინეს და ჯარიმის სახით 400 მანეთი გადაიხადეს. გამოპქონდა ისეთი ფაქტებიც, როცა ესა თუ ის ორგანიზაცია ამაოდ უცდიდა ვაგონებს.

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და ქმედითი ღონისძიებები დასახა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. მიმდინარე წლის ექვს თვეში ვაგონების მოცდენის დრო მინიმუმამდე შემცირდა, ანალა ვაგონები დროულად იცლება და იტვირთება. შეკეთდა აგრეთვე სარკინიგზო ჩიხები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა სურამის სიღის კარიერზე ვაგონების მიწოდების ორგანიზაცია.

ხაშურის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი და შესაბამისი კონტროლის ჯგუფები სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად კვლავაც დიდი ყურადღებით ეკიდებიან ვაგონების მიწოდებისა და გამოყენების საქმეს. აღვკვეთოთ ვაგონების მოცდენა! — ასეთი დევიზით მუშაობენ რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მოქმედი სახალხო კონტროლის ჯგუფები.

ა. ჩიქოვანი,

ხაშურის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ენგურელ მექაღალდეთა საგრუნავი

კონტროლი მოქმედებაში

საბჭოთა საშობლოსადმი სიყვარული გვაფალებს ახალი ენთუზიაზმით ვიშრომოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რათა მშობლიური პარტიის XXIV ყრილობის დიდებული გადაწყვეტილებანი რეალობად ვაქციოთ. ამ დღეებში ზრომობს და ცხოვრობს დღეს ენგურელ მექაღალდეთა კოლექტივი.

იმისათვის, რომ დავზოგოთ და სწორად გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები, გამოვავლინოთ და სამსახურში ჩავაყენოთ არსებული რეზერვები, საჭირო ქმედითი ღონისძიებით განვამტკიცოთ წესრიგი წარმოებაში, უზრუნველყოთ შრომის ნორმაციული რიგმი. სწორედ აქედან არის მიმართული ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმიანობა.

კომბინატში შექმნილია სახალხო კონტროლის 23 ჯგუფი, 33 საგუშაგო, სადაც გაერთიანებულია 407 სახალხო კონტროლიორი. ჯგუფის სხდომებზე პერიოდულად განვიხილავთ საამქროთა და განყოფილებათა აქტუალურ საკითხებს, გაგვაქვს საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომებზე განსახილველად, ზომების მისაღებად.

მაგალითად, სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაუმონტაჟებელი მანქანა-დანადგარების შენახვისა და მოვლა-პატრონობის საკითხი, აგრეთვე დამონტაჟების ვადის გადაცილების მიზეზები. აღმოჩნდა, რომ 16 ათასი მანეთის ღირებულების დანადგარები, რომლებიც შეძენილი იყო ქაღალდის ფაბრიკისათვის, გამოუყენებლად ეწყო საწყობში 1968 წლიდან. საკითხი საჭიროებდა ნესტის ზომა. ამ ფაქტებზე ეფუძნებოდა. იგი დადებითად გადაწყდა. მიმდინარე წლის მარტიდან ყველა მანქანა-დანადგარი ჩაფდა საწარმოს სამსახურში, რამაც გარკვეული სარგებლობა მოუტანა ფაბრიკის კოლექტივს გეგმის შესრულებაში.

მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ფართო მოხმარების საამქროში, სატყეო ბირეულში. სახალხო კონტროლიორების უშუალო მონაწილეობით დამონტაჟებულ იქნა 30 ათას მანეთად ღირებული მანქანა-დანადგარები.

ცელულოზის ქარხნის სიმეტის დამამზადებელი განყოფილების წამძღვანელობა საგონებელშია ჩაგარდნილი, რადგან სავაჭრო ორგანიზაციები მასობრივად უარს აცხადებენ პროდუქციის მიღებაზე. მაგალითად, ფაბრიკაში წინასწარ მოდის აუარებელი წერილები, ეფრთხილებენ, რომ არ გაუგზავნონ პროდუქცია, ვინაიდან კოსტიუმები დიდი რაოდენობით უწყვიათ საწყობებში. ასეთი წერილები მოსულია თბილისის, აქარის, ქუთაისის, სამტრედიის, ბათუმის, ალმა-ატის და სხვა სავაჭრო ბაზებიდან.

რატომ შეაჩერეს ზურგი სავაჭრო ორგანიზაციებმა № 6 ფაბრიკის ნაწარმს? იქნებ მისი ხარისხი არ მოსწონთ? ჩვენ გულდასმით გავეცანით მოწერილ წერილებს. ყოველ მათგანში გარკვევით წერია: კოსტიუმებს ნუ გამოგვიგზავნით, როგორ მათზე მოთხოვნილება არ არის. სავაჭრო ორგანიზაციებსა და ბაზებში საერთოდ დიდი რაოდენობით არის ამ სახის პროდუქციის გარდამავალი ნაშთი. მაგრამ პროდუქციის ხარისხზე ერთ სიტყვასაც არ ამბობენ. იქნებ მოთხოვნილება კარგად არ არის შესწავლილი, დასაბუთებული.

როცა პროდუქცია გაწერილია, უარის თქმის დროს საწარმოს უფლება აქვს დაანარიმოს სავაჭრო ორგანიზაცია, მაგრამ მას ერიდება, თავისი ნახელავის იმედი არა აქვს. მაგალითად, თბილისის მეორე უნივერმაღის უარი განუცხადა პროდუქციის მიღებაზე, მაგრამ ფაბრიკამ, ვინაიდან საქონელი გაწერილი იყო, მაინც შეიტანა. საქონელმცოდნეებმა გულდასმით გასინჯეს, მთლიანად დაიწუნეს და ნაწარმი ფაბრიკას უკან დაუბრუნეს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოში ხარისხისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. **წლის პირველ ნახევარში სავაჭრო ორგანიზაციებმა უხარისხო პროდუქციისათვის ფაბრიკას 24,5 ათასი მანეთი გადახდევინეს.** წუნი მძიმე ტვირთად აწვება საწარმოს.

პროდუქცია საწარმოში იბადება და წუნიც იქვე უნდა გასწორდეს, მაგრამ ფაბრიკის კონტროლიორები ამას ერიდებიან, სიწოლის ამჭიმინებენ, ელოდებიან, სავაჭრო ორგანიზაციებიდან როდის დაუბრუნებენ პროდუქციას. როგორც ეტყობა, ეს მდგომარეობა ფაბრიკის პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც არ აწუხებთ. პატარა დეფექტი, რომელსაც მომხმარებელი ვერ შეამჩნევს, და თუ შეამჩნია, ამით, — ეს კიდევ დასაბუნებია. მაგრამ ფაბრიკიდან ხშირად გადის ისეთი პროდუქცია, რომელიც მომხმარებლისათვის უვარგისია და სავაჭრო ორგანიზაციები მას სამართლიანად ფაბრიკის უკან უბრუნებენ. **წლის პირველ ნახევარში სავაჭრომ წუნის მიზეზით უკან დაუბრუნდა 16,6 ათასი მანეთის ნაწარმი.**

საწარმოს ცნობები კი სულ სხვას ლაპარაკობს. წლის პირველ ნახევარში ფაბრიკას პირველი ხარისხის პროდუქცია უნდა გამოეშვა 92,4 ტონაენტი, ფაქტიურად გამოუშვია 93,3 პროცენტი. თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ფაბრიკამ არა თუ შეასრულა ხარისხის გეგმა, არამედ „თავი ისახელა“ წუნდებული პროდუქციის გამოშვებით.

ცხადია, ეს აშკარად მეტყველებს ფაბრიკაში სუსტ კონტროლზე, რაც ყოველდ შეუწყნარებელია.

„ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და თვით ფაბრიკის მესვეურებისათვის, მაგრამ ქმედითი და გადამჭრელი ღონისძიებები დღემდე არ განუხორციელებიათ.

საწარმოში ჩვიან, რომ გეგმას მათ დაუსაბუთებლად უზრდიან, ძირითად პროდუქციასთან ერთად უგეგმავენ სხვადასხვა პროდუქციას. თუ რას ნიშნავს ეს, ფაბრიკაში არ იციან. რამდენჯერმე მიუმართავთ სამინისტროსათვის გეგმის შემცირების შესახებ, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია.

წლების განმავლობაში ფაბრიკაში წარმოების სიმძლავრეების გასადიდებლად ბევრი არაფერი გაკეთებულა, აკლიათ უახლესი სამკერვალო ტექნიკა, ასევე პირობებში გეგმების ყოველწლიურად გაზრდა, ცხადია უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

ფაბრიკას უჭირს, რთული და გამოუცალი ამოცანის წინაშე დგას — უარი თქვას ამ ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაციები აღარ იღებენ და ახალი პროდუქციის წარმოება ითვისოს, ამის შესაძლებლობა არა აქვს, კვლავ განაგრძობენ კოსტიუმების გამოშვებას, რომლებიც საწყობში მილიონ მანეთისაზე მეტი უწევიათ.

როცა საწარმოს ხელმძღვანელობას შევეკითხეთ, რატომ კერავენ ნაწარმს, რომელიც მომხმარებელს არ უნდა, მათ გვიპასუხეს. რა ქნან, გეგმა გვაქვს, უნდა შეგასრულოთო.

სანამდის გაგრძელდება ასე?!.

ზ. ჯამასპიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკუფრთხილდეთ საწარმოს მარკის ღირსებას!

წუნის ჯვარი

□ თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის საწყობებში პირველი აგვისტოსათვის ჩაწოლილი იყო 1 მილიონ 94 ათასი მანეთის პროდუქცია.

□ უხარისხო პროდუქციისათვის ფაბრიკამ წლის მარტო პირველ ნახევარში საჯარო ორგანიზაციებს ჯარიმის სახით 34,5 ათასი მანეთი გადუხადა.

ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე, — ეს კიდევ დასაბუნებია. მაგრამ ფაბრიკიდან ხშირად გადის ისეთი პროდუქცია, რომელიც მომხმარებლისათვის უვარგისია და სავაჭრო ორგანიზაციები მას სამართლიანად ფაბრიკის უკან უბრუნებენ. **წლის პირველ ნახევარში ნაწარმის წუნის მიზეზით უკან დაუბრუნდა 16,6 ათასი მანეთის ნაწარმი.**

საწარმოს ცნობები კი სულ სხვას ლაპარაკობს. წლის პირველ ნახევარში ფაბრიკას პირველი ხარისხის პროდუქცია უნდა გამოეშვა 92,4 ტონაენტი, ფაქტიურად გამოუშვია 93,3 პროცენტი. თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ფაბრიკამ არა თუ შეასრულა ხარისხის გეგმა, არამედ „თავი ისახელა“ წუნდებული პროდუქციის გამოშვებით.

ცხადია, ეს აშკარად მეტყველებს ფაბრიკაში სუსტ კონტროლზე, რაც ყოველდ შეუწყნარებელია.

„ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და თვით ფაბრიკის მესვეურებისათვის, მაგრამ ქმედითი და გადამჭრელი ღონისძიებები დღემდე არ განუხორციელებიათ.

საწარმოში ჩვიან, რომ გეგმას მათ დაუსაბუთებლად უზრდიან, ძირითად პროდუქციასთან ერთად უგეგმავენ სხვადასხვა პროდუქციას. თუ რას ნიშნავს ეს, ფაბრიკაში არ იციან. რამდენჯერმე მიუმართავთ სამინისტროსათვის გეგმის შემცირების შესახებ, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია.

წლების განმავლობაში ფაბრიკაში წარმოების სიმძლავრეების გასადიდებლად ბევრი არაფერი გაკეთებულა, აკლიათ უახლესი სამკერვალო ტექნიკა, ასევე პირობებში გეგმების ყოველწლიურად გაზრდა, ცხადია უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

ფაბრიკას უჭირს, რთული და გამოუცალი ამოცანის წინაშე დგას — უარი თქვას ამ ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაციები აღარ იღებენ და ახალი პროდუქციის წარმოება ითვისოს, ამის შესაძლებლობა არა აქვს, კვლავ განაგრძობენ კოსტიუმების გამოშვებას, რომლებიც საწყობში მილიონ მანეთისაზე მეტი უწევიათ.

როცა საწარმოს ხელმძღვანელობას შევეკითხეთ, რატომ კერავენ ნაწარმს, რომელიც მომხმარებელს არ უნდა, მათ გვიპასუხეს. რა ქნან, გეგმა გვაქვს, უნდა შეგასრულოთო.

სანამდის გაგრძელდება ასე?!.

ზ. ჯამასპიშვილი.

ენგურელ მექაღალდეთა საგრუნავი

კონტროლი მოქმედებაში

საბჭოთა საშობლოსადმი სიყვარული გვაფალებს ახალი ენთუზიაზმით ვიშრომოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რათა მშობლიური პარტიის XXIV ყრილობის დიდებული გადაწყვეტილებანი რეალობად ვაქციოთ. ამ დღეებში ზრომობს და ცხოვრობს დღეს ენგურელ მექაღალდეთა კოლექტივი.

იმისათვის, რომ დავზოგოთ და სწორად გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები, გამოვავლინოთ და სამსახურში ჩავაყენოთ არსებული რეზერვები, საჭირო ქმედითი ღონისძიებით განვამტკიცოთ წესრიგი წარმოებაში, უზრუნველყოთ შრომის ნორმაციული რიგმი. სწორედ აქედან არის მიმართული ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმიანობა.

კომბინატში შექმნილია სახალხო კონტროლის 23 ჯგუფი, 33 საგუშაგო, სადაც გაერთიანებულია 407 სახალხო კონტროლიორი. ჯგუფის სხდომებზე პერიოდულად განვიხილავთ საამქროთა და განყოფილებათა აქტუალურ საკითხებს, გაგვაქვს საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომებზე განსახილველად, ზომების მისაღებად.

მაგალითად, სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაუმონტაჟებელი მანქანა-დანადგარების შენახვისა და მოვლა-პატრონობის საკითხი, აგრეთვე დამონტაჟების ვადის გადაცილების მიზეზები. აღმოჩნდა, რომ 16 ათასი მანეთის ღირებულების დანადგარები, რომლებიც შეძენილი იყო ქაღალდის ფაბრიკისათვის, გამოუყენებლად ეწყო საწყობში 1968 წლიდან. საკითხი სამართლიანად განხილულს მოითხოვდა. იგი დადებითად გადაწყდა. მიმდინარე წლის მარტიდან ყველა მანქანა-დანადგარი ჩაფდა საწარმოს სამსახურში, რამაც გარკვეული სარგებლობა მოუტანა ფაბრიკის კოლექტივს გეგმის შესრულებაში.

„გლორიას“ დიდება

23 აგვისტო რუმინეთის განთავისუფლების დღეა

23 აგვისტოს რუმინელი ხალხი აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს. 1944 წელს დაიწყო ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი. საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური ჯარების მოსპობამ რუმინეთში, ამ პირობებში ბუჯარესტის პროლეტარიატის შეიარაღებულმა აჯანყებამ შექმნა „აუცილებელი წანამძღვრები ქვეყანაში ძირეული რევოლუციური გარდაქმნებისათვის.

დღეს რუმინელი ხალხი ქმნის განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას. ეურწმნობა რა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გამოცდილებასა და დახმარებას, რუმინელმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში.

რუმინეთის მშრომელთა მიღწევებზე მოგვითხრობს ეს კორესპონდენცია.

ბუჯარესტის ქარხანა „სემენტოარია“ რუმინეთში ერთადერთია, რომელიც კომბაინებს უშვებს. ქარხანა ანალგაზრდაა, მაგრამ მისი პროდუქცია კარგად არის ცნობილი რესპუბლიკაში და მისი ფირგლების გარეთ.

ქარხნის ვიტრინთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილა მოგონება 1949 წლის მაისის დღეზე, როცა ქარხნის მუშებმა საზეიმოდ გადასცეს პირველი ხუთი კომბაინი დობრუჯერ გლეხებს, სადაც პირველი კოოპერატივები შეიქმნა. მაშინ ამ საზეიმო წუთებს მთელი ქარხანა ესწრებოდა. იმავე 1949 წელს ქარხნის ჭიშკარი კიდევ ორმა ათეულმა მანქანამ დატოვა.

მთელ ქვეყანასთან ერთად იზრდებოდა და ვეკაკიდებოდა ქარხანა „სემენტოარია“ მას აშენებდა თითქმის მთელი რესპუბლიკა. წელითწელობით იზრდებოდა პროდუქციის გამოშვება.

— როდესაც გადავწყვეტეთ თვითმავალ კომბაინების წარმოებაზე გადასვლა, — ამბობს ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი იონ ბურადელი, — სკეპტიკურ ხმები გაისმა: ახრი არა აქვს ძვირადღირებული ძრავის დადგმას, რომელიც შინდრად მხოლოდ 15-20 დღეს მუშაობს წელიწადში. ამასთან ეს ჩვენს ძალებს აღემატება.

მართლაც ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ბევრი რამ უნდა გაკეთებულიყო. საჭირო იყო წარმოების ისე გარდაქმნა, რომ მას ეპასუხა თანამედროვე ტექნიკის, ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციის განვითარების დონისათვის.

მიზანი მიღწეულ იქნა. ქარხნის ინჟინრებმა შექმნეს უნიკალური ორი თვითმავალი კომბაინი „გლორია ს-12“ რაც დიდებას ნიშნავს. ეს მანქანა მუშაობს მთელ სასოფლო-სამეურნეო სეზონში. მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა კულტურების — ხორბლის, სიმინდის, ბარტოფილის, სოიის და სხვ. აღებაზე.

სოფლის მეურნეობის შრომელების ჩვენგან ელიან კიდევ მეტ ამვგარ კომბაინებს, — ამბობს ქარხნის დირექტორი იონ კიპიანი, — მიმდინარე წლის იანვარში გამოვუშვით ათასი „გლორია ს-12“. რესპუბლიკის 25 წლისთავის, რომელსაც ჩვენი ხალხი აღნიშნავს მიმდინარე წლის 30 დეკემბერს, გეგმის ზევით გამოშვებულ იქნება 50-ზე მეტი კომბაინი, 1975 წელს კი ქარხანა გამოუშვებს 70 პროცენტით მეტ პროდუქციას 1970 წელთან შედარებით.

„სემენტოარიას“ კოლექტივს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან. ქარხნის მოწყობილობის უდიდესი ნაწილი მიღებულია საბჭოთა კავშირიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა იონ სემენიუკმ განათლება საბჭოთა კავშირში მიიღო, საბჭოთა ქვეყანაში სწავლობდა მთავარი ტექნოლოგი პეტრე შერბანესკუც. ქარხნის დირექტორის იონ კიპიციანს ბიოგრაფია დამახასიათებელია ახალი რუმინეთის ადამიანებისათვის — ჯერ მოწაფე, შემდეგ მუშა. მექანიკური ქარხანაში. ქარხანამ გაგზავნა ბრიგადა ბარტოფილნიკურ ინსტიტუტში, დაუნიშნა სტიპენდია. ეინერგიული, ინიციატივიანი ახალგაზრდა ინჟინერი მალე დაწინაურდა... 1964 წლიდან იგი „სემენტოარიას“ კოლექტივს ხელმძღვანელობს.

უკანასკნელ წლებში ქარხნის ბევრი მუშა ინჟინერი გახდა. დაესწრებოდა სწავლებს ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში 100 მუშა.

ახლა ქარხნის კოლექტივი რესპუბლიკის იუბილეს აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას.

ფ. ანგელი.

ბუჯარესტი.

• • •

სურათზე: ჰიდროელექტროსადგური „რკინის ჭიშკარი“ დუნაიზე ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. ეს ჰესი ერთობლივად აგეს რუმინელმა და იუგოსლავიამ საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით.

ᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ — საკავშირო ფოტო.



საზეიმო კრება მოსკოვში

დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები 21 აგვისტოს შეიკრიბნენ მეგობრობის სასლში, რათა აღენიშნათ — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 28 წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, კ. თ. კატუშევი და სხვები.

მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრი ვ. დ. შაშინი.

კრებაზე გამოვიდა აგრეთვე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში გეორგე ბადრუსი.

ჩვენი პარტიები და სახელმწიფოები, ხაზი გასვა გეორგე ბადრუსმა, მზად არიან კვლავაც იმოქმედონ რუმინეთისა და სსრ კავშირის თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის. (საკდესი).

ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

● **მორიგი პროვოკაციული** გამოხდომა მოიწყეს ნეოფაშისტებმა ქალაქ ლანჩანოში (ცენტრალური იტალია). მათ ცეცხლი წაუკიდეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობას. ხანძარმა შენობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

● **ᲙᲐᲛᲑᲣᲯᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ** დაიწყო პროკესი ყოფილი სს-ელების გარიმინალური ჯგუფის ხელმძღვანელების და პოლ ფოტის საქმის გამო. მათ ბრალად ედებათ მონაწილეობა პოლონეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის მასობრივ გაჟღლეტაში. ყოფილი სს-ელები მონაწილეობდნენ აგრეთვე 20 ათასი პოლონელი მოქალაქის ამოწყვეტაში ქალაქ რადომის რაიონში, ვარშავის მახლობლად.

● **ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** ნაწილში დაიწყო ცენტრის წევრი ქვეყნების ჯარების მანევრები. მანევრებში მონაწილეობენ ირანი, თურქეთი, აშშ და ინგლისი.

● **ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲘᲠᲓᲐᲜ** „ატლას-კინტავრის“ რაკეტის დახმარებით ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ლაბორატორია „კოსმინოკი“, რომელზეც დადგმულია სამი ტელესკოპი. ლაბორატორია იწონის 2230 კილოგრამს და აქვს აგრეთვე მოწყობილობა კოსმოსური ბგამოსხივების, კიდრძო პულსარების გამოსხივების შესასწავლად. ეს უკვე მეოთხეა ბიუშვის კოსმოსური ლაბორატორია ამერიკაში.

● **ᲗᲘᲗᲘᲛᲕᲘᲡ 1.400 ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲡ** ღენონ წარმოადგენილ მსოფლიოს 34 ქვეყნიდან ღენონების პირველ მსოფლიო კონკურსზე ბუდაპეშტში. კონკურსის ერთ-ერთმა უდიდესმა მონაწილემ — საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა მეღვინეობის საწარმოთა პროდუქციის ასი საუკეთესო ნიმუში.



ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ — უშიშროების საბჭოში

22 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ახალ წევრთა მიღების კომიტეტმა დახურულ სხდომაზე განიხილა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის თხოვნის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ.

როგორც უკვე ეიუწყებოდთ, ბანგლადეშის მთავრობამ თავის მომართვაში საჯაროდ განაცხადა, რომ მზად არის ზუსტად შეასრულოს ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე ყველა ვალდებულება. უშიშროების საბჭოს წევრთა დიდმა უმრავლესობამ, რომელიც განიხილა ეს მომართვა, აღნიშნა, რომ ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომლებსაც წესდება უყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს.

ახალი სახელმწიფოს მიღების შესახებ რეკომენდაცია დღემდე არ მოიწონეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელიც თავს დაესხა ბანგლადეშის მთავრობის პოლიტიკას, იმუქრებოდა, თუ საკითხის კენჭისყრისას ვეტოს მიგმართავო. ამის შედეგად საკითხის განხილვა გადაიტანეს ახალ წევრთა მიღების კომიტეტში, შემდეგ კი გადაადგა 21 აგვისტომდე.

ᲞᲝᲞᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲘᲛᲔᲑᲘ

**ᲐᲮᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲘᲠᲣᲪᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ დაიჭრა ან უკვალოდ დაიკარგა, 350 ათასი უსახლკაროდ დარჩა — ასეთია არასრული შედეგები უძლიერესი კოსმოსური ნაგებობის, „ბაიკონურ-1“-ის ავარიისა. ეს ნაგებობა, „ბაიკონურ-1“-ის ავარიის ერთ-ერთ ასეული ადამიანი, ეს ბიბლიოთეკა, ეს ბიბლიოთეკა, ეს ბიბლიოთეკა

მწერლის მოზღვავე სოფელში

ბაახველები კატივს სცემენ საბჭოთა ქართველ მწერალ თ. ბაბაიძეს

ბ ა ხ ვ ე ლ ი , (საკ. კორ.). სოფელი ბახვი ერთ-ერთი ისტორიული კუთხეა გურიაში. შემთხვევითი როდია, რომ 1905 წლის რევოლუციის დღეებში ბახვი მებრძოლ გურულ ანარქიულთა ერთ-ერთი ცენტრი იყო. ცნობილი „ბახვის მანიფესტიც“ ხომ სწორედ აქ შეიმუშავეს და მიიღეს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფელი სრულიად გამოიცვალა და გარდაიქმნა. ახლა ბახვი აღორძინებული საკოლმეურნეო სოფელია, ყველა იმ სიკეთით, რაც ხალხებს საბჭოთა ეპოქამ მოუტანა. ბახველები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მიღწევებით საკოლმეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე, ამაყობენ ამ სოფელში აღზრდილი სახელოვანი ადამიანებით, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ კულტურას.

ერთი ამათგანია ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე, რომლის დაბადების 100 წლისთავი წელს ფართოდ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში. ბახველებმაც სიყვარულით და სამადლიერ მოგონებებით თავიანთი სახელოვანი თანამემამულე, მიტინგები და ლიტერატურული საღამოები მიუძღვნეს მისი სახელის უკვდავყოფას.

...სოფლის საშუალო სკოლის ეზოში, დიდი ტოტებგაბნეული ცაცხვის ძირში, სადაც არაერთხელ დაუსვენია ნინოს, მიტინგზე შეიკრიბნენ ბახვისა და მეზობელი სოფლების მშრომელები, თბილისიდან ჩამოსული მწერლები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები.

მიტინგი გახსნა ბახვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კვაჭაძემ. ყურნალ „ფრონშის“ რედაქტორმა, მწერალმა და კრიტიკოსმა გ. ნატროშვილმა ოლიმპიადა ნინო ნაკაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მის დიდ დამსახურებაზე ქართულ სიტყვიერებაზე მწერლობაში, განსაკუთრებით საბავშვო ლიტერატურის ანაწილში. სიტყვებით გამოვიდნენ ბახვის საშუალო სკოლის მასწავლებელი ც. ქიქოძე, მწერლები ჯ. დევდარიანი, დ. ვადაჭკორია, ბახვის მარკესის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ანთაძე, მოსწავლეები და სხვ.

შემდეგ საიუბილეო ზეიმმა ქალაქ მახარაძეში გადაინაცვლა. სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა ნინო ნაკაშიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მეოვანმა ა. თოიძემ. მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა გამომცემლობა „ქართველის“ დირექტორმა, პოეტმა ხ. ბერულავამ. სიტყვებით გამოვიდნენ მასწავლებელი ლ. თავაძე, პოეტი მ. მრეველიშვილი, მწერალი ქ. ჭილაშვილი, რაიისბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ხ. ხავთასი და სხვები.

...გამრჯე ბახველებმა შრომაც კარგი იციან და დასვენებაც, ენერგიულად იღვწიან მშობლიური სოფლის განახლება-აღორძინებისათვის, აფასებენ და პატივს სცემენ ქართული კულტურის ყველა მოამაგეს, მათ შორის ჩვენი ხალხისა და მოსწავლე ახალგაზრდობის საყვარელ მწერალს ნინო ნაკაშიძეს.

ბ. ჩხაიძე.

სამეცნიერო-პრაქტიკული

ამასწინათ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიული კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ფიფიას ხელმძღვანელობით მეცნიერებაში გამართეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მესტიის, ლენტეხის, ცაგერის სამედიცინო დაწესებულებების მუშაკებმა.

სესიაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე ქირურგიის აქტუალური საკითხები. აკადემიკოსმა ე. ფიფიამ გააშუქა ქირურგიის თანამედროვე მიღწევები. პროფესორებმა კ. დიხამინჯიამ, ა. თელიამ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის თ. გოგოტიშვილის, ასისტენტების ლ. ჭაჭიაშვილის, გ. სურგულაძის, ექიმების ა. ჩართოლანის, შ. ლიპარტელიანის, ვ. გოლეთიანის, ა. ჯაჯვანის მოხსენებებში ყურადღება გამახვილებული იყო პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე.

სესიის მონაწილეებმა ჩაატარეს აგრეთვე კონსულტაციები რაიონულ საავადმყოფოებში და აწარმოეს ავადმყოფთა ამბულატორიული მიღება.

რ. კარანაძე.

ზრუნავენ ინვალიდებზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქში მრავალი ღონისძიება განხორციელდა დიდი სამამულო ომის ინვალიდთა მომსახურებისათვის. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ომის ინვალიდებმა მიიღეს 7 მსუბუქი ავტომანქანა, 50-მა უფასოდ იმკურნალა ჩვენი ქვეყნის სანატორიუმებში. ინვალიდებისათვის გაცემულმა ერთდროულმა დახმარებამ 1.220 მანეთს გადააჭარბა. რვა ინვალიდმა იზეიმა ახალმოსახლეობა კეთილმოწყობილ ბინებში.

თასი მოპოვებულია — ბრძოლა გრძელდება

900 გუნდი მონაწილეობდა საქართველოს თასის გათამაშებაში ფეხბურთში, გუშინ კი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა ფინალური მატჩი.

შეხვედრის დებიუტი წარმატებითი გამოდგა თელაველთათვის — ხუთი წუთიც არ იყო გასული, ანგარიში კი უკვე 2:0 იყო მათ სასარგებლოდ (ბურთები გაიტანეს ძველმა ნაკვლაშვილმა და გარიმარმა ციერეკიძემ). ტაბიის დასასრულამდე კი მაისურაძემ ანგარიში სამამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ „კახეთის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა კობახიძემ ელექტროტბლოზე 4:0 „დაწერა“.

ზუგდიდის დინამოელებმა 11-მეტრიანი დარტყმიდან შეძლეს მეტოქის კარის აღება (70-ე წუთი, დარასელია).

4:1. ამ გამარჯვებით თელავის „კახეთმა“ (უფროსი მწვრთნელი ფ. ჭილაძე, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი გ. გომელაური) საქართველოს თასიც მოიპოვა და უფლებაც მონაწილეობა მიიღოს საკავშირო თასის გათამაშებაში.

აი საქართველოს თასის მფლობელი გუნდის შემადგენლობა: რეხვიაშვილი, ჩაგელაშვილი, ასატუროვი, თვალიაშვილი, ბურდული, ელისამეული, სირაძე, ცირკვიძე, მაისურაძე (ომელიშვილი), ჯობახიძე, ტიკურიშვილი.

ო. ნოზაძე.

დახმარება მშრომელებს

თბილისი. (საკ. კორ.). რაიონში წლის პირველ ნახევარში პენსიის სახით ათეულობით ათასი მანეთი მიიღეს სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებმა და ინვალიდებმა, ხოლო შრომის ინვალიდებმა — 242.500 მანეთი. კოლმეურნე პენსიონერებმა — 263.700 მანეთი.

სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. მათზე წლის პირველ ნახევარში გაცემულია 95.300 მანეთი. სულ ექვსი თვის მანძილზე პენსიებისა და დახმარების სახით მშრომელებმა მიიღეს 664.800 მანეთი.

გარდა ამისა, პენსიონერებმა საგზურებით დაისვენეს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

□

„საქართველოს აგიტატორი“ № 16

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთექვსმეტე ნომერი.

ზღვა გვიხმობს...!
ა. მაჰავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპორტი

სპასპორტი — ფიშერის მატჩი

უფიმცევის დაცვა — პირველად

გუშინ რეიკიავიკში გათამაშდა მსოფლიო პირველობაზე სპასკი-ფიშერის მატჩის მეჩვიდმეტე პარტია. მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელიც თეთრებით თამაშობს, შეფის პაიკი ორ უჯრედზე წასწია, რასაც პრეტენდენტმა უპასუხა ლაზიერის პაიკის წაწევით ერთ უჯრედზე. აღსანიშნავია, რომ ფიშერმა ამ მატჩში პირველად მიმართა საკადრაკო პრაქტიკაში კარგად ცნობილ უფიმცევის დაცვას, რომელიც საბჭოთა ოსტატის სახელს ატარებს. პარტია გვიანობამდე გრძელდებოდა.

გაიმართა ხუთი ტური

სოხუმი. (ტელეფონით „ბუნიბტის“ სპეც. კორ.). სოხუმის საერთაშორისო საკადრაკო ტურნირზე გათამაშდა ... ტური. მეოთხე ტურში ... გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთმა ფავორიტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა. გროსმეისტერმა მოხდენილი მანევრირებით ჯერ პაიკი მოუგო ჰოლანდიელ რეეს, შემდეგ კი ბრწყინვალედ მიიყვანა პარტია გამარჯვებამდე.

ახლა სოხუმში ძალიან ... ...